ვახტანგ ჭანკოტაძე





# ჩვენ ვართ ტყუპები







## ვახტანგ ჭანკოტაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის.

გამოცემული წიგნები: „ბედისწერა“ (რომანი), „ლეგენდები“ (ლექსები), „გენერალი გორიდან“ (მონოგრაფია), „ბოლო ვაგონის ლექსები“, „მხიარული რითმები“, „იხარეთ“ (საბავშვო ლექსები), „ხსოვნის წიგნი“ (სამ ნაწილად), „სითბო ჩემკენ და ჩემგან“ (ლექსები), „კიბის 75 საფეხური“, „ალმასა“ (მოთხრობები, ნოველები), „აჯაფსანდალი“, „მინიატურების ალღუმი“, „ტელეპათიური თავგადასავლები“, „იგავ-არაკები“, „მტევნის ნაჟური“ (ლექსები), „ნოსტალგია“ (ლექსები, ნოველები), „პუბლიცისტიკა“, „აბა გამოიცანი“ (საბავშვო ლექსები), „თიკუნები“, „გველების სასაფლაო“, „როგორ გავზარდოთ მოგების შანსი“, „ბერმუხა“, „კვლევითის“ დირექტორები“, „მესამე გზა“, „ხსოვნის წიგნი. IV“, „ჩვენ ტყუპები ვართ“.

*რედაქტორი:* *დარეჯან ჭანკოტაძე*

*კომპიუტერული უზრუნველყოფა:* *შალვა მურადაშვილი*

# წინათქმა

ტყუპების ფენომენი უძველესი დროიდანვე იწვევდა ადამიანების გაოცებას და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას.

გადიოდა საუკუნეები და მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებამ თითქმის ბოლომდე შეისწავლა და ახსნა ტყუპების მოვლინების ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიურ-ანატომიური საწინდრები და არსი – დღეს, აღნიშნული მოვლენა, ისევ და ისევ უაღრეს დაინტერესებას და საოცარ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოების მხრიდან.

თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებული ინტერესით აღიქვამს ტყუპების დაბადებას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვალყურს ადევნებს მათი აღზრდის, განათლებისა და მოღვაწეობის პერიპეტიებს. ტყუპებს ვუცქერით გამორჩეული სიფაქიზით და კეთილი განწყობით, განსაკუთრებით პატარა ასაკში, თუმცა არც მოზრდილობაში განიცდიან ისინი ყურადღების დეფიციტს.

ტყუპების რაოდენობის მაჩვენებლით ყველაზე უფრო ხშირია ორი ტყუპისცალი, გაცილებით ნაკლები – სამი, ხოლო იშვიათად – ოთხი. ფანტასტიკური შემთხვევა დაფიქსირდა 2012 წელს, როდესაც სამხრეთ აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში ქალბატონმა შობა ექვსი ტყუპისცალი. აფერუმ მის დედაკაცობას.

მრავალი წიგნი თუ პუბლიცისტური წერილია მიძღვნილი და მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმია გადაღებული ტყუპების შესახებ, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მკითხველთა და კინომოყვარულთა საკმაოდ ფართო აუდიტორიაში.

წინამდებარე მცირეტევადობის წიგნის მიზანი არ ყოფილა ტყუპების ფენომენის მეცნიერული შესწავლა და რაიმე სტატისტიკური დასკვნების ჩამოყალიბება.

წიგნის შედგენა განაპირობა ერთადერთმა სურვილმა – წარმომედგინა და ისტორიაში დამეტოვებინა, ძირითადად, ჩემთვის საყვარელ ქალაქ გორში და გორის რაიონში მცხოვრები ტყუპების თუნდაც მცირე რაოდენობა.

იმედი მაქვს, წიგნის მოყვარულები სათანადო გაგებით შეხვდებიან ჩემს მოკრძალებულ მცდელობას.

**ავტორი**

# გვანცა და სალომე გვიმრაძეები



**დაბადების თარიღი:** 2003 წლის 8 სექტემბერი.

**მიმდევრობა:** გვანცა, სალომე (7-8 წუთი)
**წონა:** გვანცა - 2 კგ.
სალომე - 1,8 კგ.
**მშობლები:** მაკა ბიხანაშვილი, დავით გვიმრაძე.

როგორც ქალბატონი მაკა ამბობს, ტყუპებს განსაკუთრებულად უყვართ ერთმანეთი. შეიძლება ითქვას, რომ ვერ ძლებენ უერთმანეთოდ. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ათეულობით კილომეტრით, დროებით განცალკევებული ტყუპები ერთდროულად იწყებდნენ ტირილს და ერთად ყოფნას მოითხოვდნენ.

# თორნიკე და გიორგი ხუბულურები

**დაბადების თარიღი:** 1995 წლის 11 ივლისი.

**მიმდევრობა:** გიორგი, თორნიკე.

**წონა:** გიორგი - 3,6 კგ.
თორნიკე - 3,4 კგ.

**მშობლები:** მაია ნაყოფია, კონსტანტინე (ტუხო) ხუბულური.

**ბავშვებმა ის-ის იყო აიდგეს ფეხი და დაიწყეს ბაჯბაჯი, როცა ახლობლებმა შეამჩნიეს მართლაც რომ საოცარი რამ — ისინი ისე კი არ ეჯაჯგურებოდნენ ერთმანეთს და ისე კი არ ბღლაძუნობდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივ იციან ბავშვებმა (განსაკუთრებით ბიჭებმა), არამედ მათ „ჭიდილში" აშკარად ამჩნევდნენ დახვეწილი ჭიდაობის მსგავს ილეთებს, რაც საყოველთაო გაოცებას და აღტაცებას იწვევდა; თითქოს დედის მუცელში ვიღაც „მწვრთნელი" 9 თვის განმავლობაში ავარჯიშებდა მათ. დღეს უკვე (როცა ბიჭები მტკიცე ნაბიჯებით მიდიან ჭიდაობის ხელოვნების მწვერვალებისკენ) თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ის მწვრთნელი" გენეტიკა გახლავთ. მათმა მამამ და ბიძამ ხომ საყოველთაო აღიარება ჰპოვეს საჭიდაო ასპარეზზე.**



1998 г.

2012 г.



# თემო და ელგუჯა მენაბდიშვილები

**დაბადების თარიღი:** 1940 წლის 18 იანვარი.

**მიმდევრობა:** თემო, ელგუჯა (ინტერვალი 10 წუთი)

**წონა:** თემო - 2,5 კგ;
ელგუჯა - 2,5 კგ.

**მშობლები:** ელისაბედ ხუბულური,
ივანე მენაბდიშვილი.

**დედამ ერთნაირ ტანსაცმელში გამოწყობილი ბავშვები ეზოში გაუშვა სათამაშოდ. ცოტა ხნის შემდეგ ელგუჯა დაბრუნდა სახლში და დედას მიმართა — მშიაო. დედამ დააპურა ელგუჯა და ისევ ეზოში გაუშვა. ოციოდე წუთის შემდეგ ელგუჯა ისევ თავზე დაადგა მოფუსფუსე დედას და კვლავ საჭმელი მოითხოვა. დანაყრებული ელგუჯა ისევ ეზოში წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ თემო მივიდა დედასთან და საჭმელი მოითხოვა.**

**- რა დაგემართა, შვილო, ახლახანს არ გაჭამე?**

**თემომ ტირილი დაიწყო ჩემთვის არ გიჭმევიაო. სამზარეულოში მოფუსფუსე დედასაც კი ერთმანეთში აერია ტყუპები.**



თემო



ელგუჯა



# დავით და ნინო კვარიანთაშვილები

**დაბადების თარიღი:** 1996 წლის 17 იანვარი.

**მიმდევრობა:** დავითი, ნინო.
**წონა:** დავითი - 2,4 კგ.
ნინო - 2,5 კგ.
**მშობლები:** თამარ ჩუტკერაშვილი,
ზურაბ კვარიანთაშვილი.

ნინო ზედმეტად მშვიდი და უშფოთველია, ავადმყოფობის დროსაც კი არ ტიროდა და შეეძლო წყნარად ეძინა. ერთხელ, ღამით დავითი ატირდა. დედამ შეამოწმა, ხომ არ ჩაისველა, ან სიცხე ხომ არ აქვსო. არც სიცხე ჰქონია და არც ჩასველებული იყო. დედამ ნინოც შეამოწმა და შეწუხდა, რადგან მას სიცხე ჰქონდა, თუმცა მშვიდად ეძინა. დედამ მკერდში ჩაიხუტა ნინო, კარგა ხანს მოეფერა და მიეალერსა. დავითმა კი დაიძინა. პირველი ასეთი შემთხვევისას მშობლებს არაფერი შეუმჩნევიათ უცნაური, მაგრამ ასეთი რამ, როცა ხშირად განმეორდა, მაშინ კი მიხვდნენ მშობლები, რომ თუ ნინოს სიცხე ან სხვა რამ აწუხებდა — დავითი იღვიძებდა და ხმამაღალი ტირილით უხმობდა დედას, მერე კი იძინებდა. მაშინ დავითი და ნინო სულ პატარები იყვნენ, როცა 3 თვის დათოს თბილისში უკეთებდნენ ოპერაციას, გორში დატოვებული ნინო კი განუწყვეტლივ ტიროდა.

2000 г.



2011 г.



# როლანდ და ნუგზარ ცერცვაძეები

**დაბადების თარიღი:** 1938 წლის 1 იანვარი.

**მშობლები:** თამარ ცერცვაძე,
ერვანდ ცერცვაძე.

ახლობლების გადმოცემით, ისინი ერთდროულად ტიროდნენ, თუნდაც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს ჰქონოდა ამის მიზეზი. ერთდროულად: დაამთავრეს გორის პირველი საშუალო სკოლა, გადიოდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, მოეწყვნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (როლანდი ენერგეტიკის, ხოლო ნუგზარი ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკულტეტზე).

ნუგზარი გარდაიცვალა 2005 წელს.

როლანდი ამჟამად პენსიონერია





1942 წ.

1971 წ.





# მარიამ და გიორგი ტერუნაშვილები



**დაბადების თარიღი:** 2008 წლის 1 დეკემბერი.

**მიმდევრობა:** გიორგი, მარიამი.

**წონა:** მარიამი - 3,8 კგ.
გიორგი - 4,1 კგ.

**მშობლები:** მაია სადუნაშვილი, ვალერი ტერუნაშვილი.

**პაპის, ბატონ ვალერი სადუნაშვილის გადმოცემით, ტყუპები არასდროს კამათობენ და არც ჩხუბობენ, პირიქით, სულ ერთმანეთის მოფერებაში არიან.**

**მძიმედავადმყოფი გიორგი მოთავსებულ იქნა თბილისის ერთ-ერთ რეანიმაციულ განყოფილებაში დედის მეთვალყურეობის ქვეშ. მარიამი იმყოფებოდა გორში, რომელიც რამდენჯერმე, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ატირდა. აღმოჩნდა, რომ მარიამი ზუსტად მაშინ ტიროდა, როცა გიორგის მდგომარეობა სერიოზულად უარესდებოდა და მის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა.**

# თამარ და ნინო გოგიძეები



**დაბადების თარიღი:** 2006 წლის 2 აპრილი.

**მიმდევრობა:** ნინო, თამარი (სხვაობა 12 წუთი).
**წონა:** ნინო - 3 კგ.
თამარი - 3,1 კგ.
**მშობლები:** ია მიხანაშვილი, რამაზ გოგიძე.

***აღსანიშნავია, რომ გოგონები დაიბადნენ დედის დაბადების დღეს.***
***იშვიათი შემთხვევა გახლავთ, მაგრამ ფაქტია, რომ გოგონები არც გარეგნობით და არც შინაგანი თვისებებით თუ ხასიათით თითქმის არ ჰგავნან ერთმანეთს.***

# ელენე და ლიზი ჩიკვილაძეები



**ლიზი**

**ელენე**

**დაბადების თარიღი:** 2003 წლის 13 ნოემბერი.



**მიმდევრობა:**
ელენე, ლიზი.

**წონა:** ელენე - 3,1 კგ.
ლიზი - 2,9 კგ.

**მშობლები:**
ნინო ოქროპირიძე,
ივანე ჩიკვილაძე.

# ციალა და ნელი საათაშვილები



**ციალა**



**ნელი**

**დაბადების თარიღი:** 1941 წლის 2 ივნისი.

**მიმდევრობა:** ციალა, ნელი.

**წონა:** ციალა - 2,8 კგ. ნელი - 2,6 კგ.

**სიგრძე:** ციალა - 42 სმ. ნელი - 41 სმ.

**მშობლები:** მარიამ მესროფაშვილი, შალვა საათაშვილი.



# ნინო და მარიამ ღავთაძეები



**მარიამი**

**ნინო**

**დაბადების თარიღი:** 2004 წლის 28 სექტემბერი.

**მიმდევრობა:** ნინო, მარიამი (სხვაობა 4-5 წუთი).

**წონა:** მარიამი - 2,7 კგ.

ნინო - 3,2 კგ.

**მშობლები:** თეონა ბაკურაძე, კობა ღავთაძე.

**ტყუპები განსხვავებული ხასიათის არიან. ურთმან-ეთოდ ვერ სძლებენ. თუ რაიმე მიზეზის გამო ისინი დროებით დაშორდნენ ერთმანეთს – ხასიათი უფუ-ჭდებათ და სულ იმის მოლოდინში არიან, თუ როდის იქნებიან კვლავ ერთად.**

**მარიამი ხაზგასმით უფრო აქტიურია, ვიდრე ნინო.**

# ნუცა და კესო ბერიძეები



**დაბადების თარიღი:** 2005 წლის 20 ივნისი.

**მიმდევრობა:** კესო, ნუცა (სხვაობა  7-8 წუთი).
**წონა:** ნუცა - 2,1 კგ.
კესო - 2,3 კგ.
**მშობლები:** თამთა გოგიძე, კოტე ბერიძე.

# მარიამ და ანა ქლენტები



**დაბადების თარიღი:** 2011 წლის 18 მაისი.

**მიმდევრობა:** მარიამი, ანა

**წონა:** მარიამი - 2,5 კგ.
ანა - 1,7 კგ.

**მშობლები:** გულნაზი ქელეხსაშვილი, ზურაბ ქლენტი.

მარიამი უფრო მგრძნობიარეა და თითქმის ყოველთვის მოიკითხავს ანას, პირიქით კი არა. ანა უფრო ეშმაკია, ხშირად მალავს სათამაშოს. მარიამი ვერ ხვდება. მარიამი უფრო მიმნდობია და გულუბრყვილო ანასთან შედარებით. ჰყავთ უფროსი და ნინო (წიწიკაშვილი). ერთმანეთის საქციელს იმეორებენ დაუყოვნებლივ.

ნატო და ეთერ დურგლიშვილები





# საბა და ლუკა ონიკაშვილები





**დაბადების თარიღი:** 2012 წლის 1 მაისი.



**მიმდევრობა:** საბა, ლუკა.

**წონა:** საბა - 2,6 კგ.
ლუკა - 2,8 კგ.

**მშობლები:** თამარ კობიაშვილი, ვახტანგ ონიკაშვილი.

# თამარ და ქეთევან მაღალაშვილები





**დაბადების თარიღი:** 2009 წლის 24 დეკემბერი.

**მიმდევრობა:** თამარი, ქეთევანი.

**წონა:** თამარი - 2,5 კგ.
ქეთევანი - 2,2 კგ.

**მშობლები:** ეკატერინე ქურცикაშვილი, ზურაბ მაღალაშვილი.



# ზურაბ და რატი თეგერაშვილები

**დაბადების თარიღი:** 1996 წლის 11 ნოემბერი.

**მიმდევრობა:** ზურაბი, რატი.
**წონა:** ზურაბი - 3 კგ.
რატი - 3,2 კგ.
**მშობლები:** მარინე თანდილაშვილი,
ალექსი თეგერაშვილი.

ზურაბი და რატი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ დედასაც კი უძნელდებოდა მათი გარჩევა. ამიტომ გადაწყვიტა მათთვის სხვადასხვა ტანსაცმელი ჩაეცვა. თუმცა არც ეს შველოდა საქმეს. მშობელს ხშირად ერეოდა ერთმანეთში მათი ტანსაცმელიც კი – კი, ბატონო, იცის, რომ რატის უნდა ჩააცვას ყავისფერი სვიტერი, მაგრამ რომელია რატი?!



ზურაბი რატი



რატი ზურაბი

# დავით და ნიკოლოზ ლომსაძეები

**დაბადების თარიღი:** 2006 წლის 26 სექტემბერი.

**მიმდევრობა:** დავითი, ნიკოლოზი.

**წონა:** დავითი - 3,4 კგ.
ნიკოლოზი - 3,8 კგ.

**მშობლები:** მაკა ანდრონიკაშვილი,
ირაკლი ლომსაძე.



**დავითი**

**ნიკოლოზი**



დავითი ნიკოლოზი



დავითი ნიკოლოზი

# სანდრო და ლევან დათიშვილები

**დაბადების თარიღი:** 1985 წლის 24 ივნისი.

**მიმდევრობა:** სანდრო, ლევანი.

**წონა:** სანდრო - 2,8 კგ.
ლევანი - 2 კგ.

**მშობლები:** თამარ წიკლაური,
თეიმურაზ დათიშვილი.

**ფეხბურთელი ძმების სპორტული ცხოვრებიდან: ერთ-ერთი მატჩის დროს, მაშინ როცა მწვრთნელმა ამოწურა მოთამაშეების შეცვლის დაწესებული ლიმიტი, სანდრომ მიიღო ტრავმა და გუნდს ელოდა კაცნაკლული შემადგენლობით თამაშის გაგრძელება, რაც ზრდიდა წაგების შანსს. ისე მოხერხებულად და შეუმჩნევლად ჩაანაცვლა სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ლევანმა თავისი ტყუპისცალი, რომ ეს ვერ შენიშნეს ვერც არბიტრმა და ვერც მოწინააღდეგე გუნდის წევრებმა.**





სანდრო

ლევანი



სანდრო



ლევანი

# მარიამ და ქეთევან ჯაჭვაძეები

**დაბადების თარიღი:** 1988 წლის 3 ნოემბერი.

**მიმდევრობა:** მარიამი, ქეთევანი.
**წონა:** მარიამი - 2,4 კგ.
ქეთევანი - 1,7 კგ.
(დაიბადნენ შვიდთვიანები)
**მშობლები:** მანანა გიგოშვილი,
ალექსანდრე ჯაჭვაძე.

ძილის წინ, თამაშის დროს პატარა მარიამმა ხელი იტკინა. ხელი შეუხვიეს და ჩააწვინეს ლოგინში. მარიამმა მალე ჩაიძინა, ქეთევანი კი შეუჩერებლივ ტიროდა და ჩანდა, რომ არ დაიძინებდა, თუმცა მას არაფერი აწუხებდა. დედა მიხვდა, რაშიც იყო საქმე და სახელდახელოდ ქეთევანსაც შეუხვია ხელი ფორმალურად. ქეთევანმაც მაშინვე დაიძინა.



მარიამი ქეთევანი



მარიამი ქეთევანი

# მაია, ნანა და ნონა ღუდუშაურები

**დაბადების თარიღი:** 1987 წლის 13 აგვისტო.

**მიმდევრობა:** ნონა, მაია, ნანა.

**წონა:** ნონა - 2,6 კგ.
ნანა - 1,4 კგ.
მაია - 2,2 კგ.

**მშობლები:** ნათელა ბახუტაშვილი,
ნოდარ ღუდუშაური.

მსოფლიოში აღიარებული ქართველი მოჭადრაკეების სახელები დაარქვეს მშობლებმა ახალშობილებს.

ცნობილია, რომ პატარების გაბანვის პროცედურას დედა (ზოგჯერ მამის დახმარებითაც) განსაკუთრებული რუდუნებითა და მზრუნველობით ასრულებს.

ქალბატონი ნათელა იხსენებს შემთხვევებს, როდესაც ერთიდაიგივე პატარა აბანავა ორჯერ ზედიზედ, ერთ-ერთი კი დაუბანელი დარჩა.



მაია ნანა ნონა



მაია



ნანა ნონა

# გიორგი და ვანო კუთარაშვილები





**დაბადების თარიღი:**
1990 წლის 23 ივნისი.

**მშობლები:**
მარინა ბარიხაშვილი,
გიორგი კუთარაშვილი.

# ლუკა და ნიკო კასრაძეები



**დაბადების თარიღი:** 2009 წლის 30 ივნისი.

**მიმდევრობა:** ლუკა, ნიკო (საკეისრო)

**წონა:** ლუკა - 2,8 კგ. **სიგრძე:** ლუკა - 48 სმ.
ნიკო - 3 კგ. ნიკო - 51 სმ.

დევნილები ლიახვის ხეობიდან (ს. ქემერტი)

**მშობლები:** ხათუნა ტარიელის ასული ხუციშვილი, გოგი სოსოს ძე კასრაძე.

გამოირჩევიან ერთნაირი ხასიათით და ჩვევებით. ლუკა შედარებით აქტიურია საბავშვო თამაშობებში და ყოველდღიურ ყოფით ცხოვრებაში. ფიზიკური აღნაგობით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

# მაკა და ეკა ოქროპირიძეები

**დაბადების თარიღი:** 1982 წლის 6 აპრილი.

**მშობლები:** მალვინა ქუქნიაშვილი, ტარიელ ოქროპირიძე

იგონებს ეკა: სკოლაში ერთნაირად არ ვიცვამდით და არ ვიყავით მიჩვეული იმ აზრს, რომ ძალიან ვგავდით ერთმანეთს. სკოლა რომ დავამთავრეთ და მისაღებ გამოცდაზე უნდა გავსულიყავით, ჩავიცვით ერთნაირი ტანსაცმელი, ვარცხნილობაც ერთნაირი შევარჩიეთ და წავედით. გზაში ყველას ეღიმებოდა — ტყუპები, ტყუპებიო. ერთმა ბიჭმა ფეხიც კი მოიტეხა ჩვენ ცქერაში, კიბეებზე ჩამოდიოდა და ალბათ, იფიქრა გაორება ხომ არ დამეწყოო. თავიდან, რომ მივედით, ოთხნი შეიყვანეს გასაუბრებაზე, მერე უკვე სათითაოდ. ამ პირველ ოთხეულში ჩემი დაც მოჰყვა. ჩემი ჯერი რომ მოვიდა, შევედი. ლექტორები სიებში იყურებოდნენ, ვინც გამოცხადდნენ ინიშნავდნენ. ისე დამისვეს შეკითხვები, არც შემოუხედავთ. მეც დავიწყე მოყოლა. ჩემთვის რომ მოიცალეს და შემომხედეს, უცებ ერთ-ერთმა მათგანმა გამაჩერა და მითხრა: „გოგო, შენ ახლა აქ არ იჯექიო?" ეტყობოდა, რომ ცოტა ფიცხი კაცი იყო.

- არა, პატივცემულო, პირველად გხედავთ-თქო და აქაც პირველად ვარ. პირველადაც მხედავთ.

წამოდგა ბატონი შოთა, გააღო კარი, გადი ახლავე აქედანო. გავიფიქრე, უკვე ცუდადაა ჩემი საქმე-მეთქი. არ მეგონა, თუ



ეგრე ვგავდით ერთმანეთს მე და მაკა. ღია კარი რომ დავინახე, მაშინვე ყველაფერი გამახსენდა, რა მერქვა, რა გვარი ვიყავი და ტყუპიც რომ მყავდა. მანამდე აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა ჩემს თავს.

- პატივცემულო, ტყუპისცალი მყავს-მეთქი.

ერთი ნუ შემოგიყვანია ზუსტად შენნაირი, მერე ნახავ შენო, — დამემუქრა. გამეცინა და გავიფიქრე, უკვე ნაშველი ვარ. გამოვედი დერეფანში, იქ გოგოები შემომეხვივნენ, ყვირილის ხმა გამოდიოდა და რა მოხდაო. ეჰ, არ მიჯერებენ, რომ მე ვარ-თქო. წავიყვანე ჩემი და და შევედით. რომ დაგვინახეს, ვაიმეო, შემოგვძახეს, როგორ ჰგავხართ ერთმანეთსო და გვითხრეს — ახლა თქვენს ნამუსზე იყოს, რომელიც იყო ის გავიდეს და რომელიც არა, ის დარჩეს, ჩვენ მაინც ვერაფერს მივხვდებითო. გაგვეცინა ყველას, მერე კი გამოვგზავნე მაკა და ჩავამთავრე ჩემი საკითხებიც.

# თენგო და ლილე ტაბიძეები

**დაბადების თარიღი:** 2010 წლის 14 ივლისი.

**მიმდევრობა:** თენგო, ლილე.
**წონა:** თენგო - 3,4 კგ.
ლილე - 3,2 კგ.
**სიგრძე:** თენგო - 54 სმ.
ლილე - 52 სმ..
**მშობლები:** ნონა გოზალიშვილი,
გელა ტაბიძე.

ძალიან უყვართ ერთმანეთი და თუ ერთად არ არიან – ხშირად კითხულობენ ერთმანეთს.
სულ მცირე ასაკში ლილე მტირალა ყოფილა, ხოლო თენგო გამოირჩეოდა სიცელქით და ბავშვური მიხვედრილობით.
დადიან საბავშვო ბაღში და გატაცებით ერთობიან სათამაშოებით. ძალიან უყვართ შოკოლადი.



თენგო ლილე



თენგო ლილე

# სალომე და ელენე ტერმელაშვილები



**დაბადების თარიღი:** 2012 წლის 23 იანვარი.

**მიმდევრობა:** ელენე, სალომე.



**წონა:**
ელენე - 2 კგ.
სალომე - 1,85 კგ.

**მშობლები:**
თინათინ ბურძენიძე,
შოთა ტერმელაშვილი

# ელენე და ზურა ბოჭორიძეები



**დაბადების თარიღი:** 1976 წლის 5 ნოემბერი.

**მიმდევრობა:** ზურა, ელენე (5-6 წთ).

**წონა:** ზურა - 2,8 კგ.
ელენე - 1,8 კგ.

**მშობლები:** იზოლდა კოპაძე, ვალერიან ბოჭორიძე.

*ოთხი დედმამიშვილიდან ტყუპებს განსაკუთრებული გამორჩევით უყვართ ერთმანეთი. პატარაობისას თვალშისაცემი იყო ის, რომ თუ ერთს ასტკივდებოდა რამე, მეორეც მაშინვე იტკივებდა იმავე ადგილს, თუნდაც საკმაოდ დაშორებულნი ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან.*

# გიორგი და ნათია გობეჯიშვილები



**დაბადების თარიღი:** 2001 წლის 26 მაისი.

**მიმდევრობა:** ნათია, გიორგი (9-10 წთ).

**წონა:** ნათია - 3,2 კგ.
გიორგი - 3,1 კგ.

**სიგრძე:** ნათია - 52 სმ.
გიორგი - 51 სმ..

**მშობლები:** თამარ ქოთუაშვილი, ივანე გობეჯიშვილი.

*ძალიან უყვართ ერთმანეთი, თითქმის ვერ ძლებენ უერთმანეთოდ, მაგრამ სასკოლო დავალებებს მაინც არ აწერინებენ ერთმანეთს.*

*არასდროს ჩხუბობენ.*

*სამაგალითონი არიან ყოფაქცევაში.*

*ძალიან უყვართ მშობლიური ქვეყანა.*

# ხვიჩა და გოჩა ონიაშვილები

**დაბადების თარიღი:** 1986 წლის 21 ივნისი.



**მიმდევრობა:** გოჩა, ხვიჩა (5-6 წთ).

**წონა:** გოჩა - 2,4 კგ.
ხვიჩა - 2 კგ.

**მშობლები:** ნონა ტერუნაშვილი, ვახტანგ ონიაშვილი.

რასაც ერთი მოისურვებდა და დაჟინებით მოითხოვდა, იგივეს აკეთებდა მეორეც.

თუ ერთ-ერთს რაიმე ასტკივდებოდა, მომენტალურად იმასვე აიტკივებდა მეორე.

დედა იგონებს, რომ ერთხელ, ორჯერ აბანავა ერთი დაიგივე, მეორე კი გასაბანებელი დარჩა.

ძალიან უყვართ მოფერება. პატივს სცემენ ჭიდაობას.

# გიორგი და ივანე ჩიტიშვილები

**დაბადების თარიღი:** 1998 წლის 31 ოქტომბერი

**მიმდევრობა:** გიორგი, ივანე.

**წონა:** გიორგი - 2,3 კგ.
ივანე - 2,4 კგ.

**სიგრძე:** გიორგი - 48 სმ.
ივანე - 49 სმ.

**მშობლები:** თამუნა ბალიაური, გაგა ჩიტიშვილი

*ივანე ყოველთვის ითხოვდა და ახლაც ითხოვს ძმებს შორის საჭმლის თანაბარ გადანაწილებას. თუ შეამჩნია, რომ მას ნაკლები ან მეტი გადმოუღეს, რაიმე კერძი — ითხოვს გათანაბრებას.*






CELTIC

# ლილე და ნიკა ბიძინაშვილები

**დაბადების თარიღი:** 2009 წლის 21 დეკემბერი.

**მიმდევრობა:** ლილე, ნიკა.

**მშობლები:** ქეთევან ხორავა,
დავით ბიძინაშვილი









## ბელა და გელა კოპაძეები



**ერთ წლამდე ასაკში**

**დაბადების თარიღი:** 1973 წლის 4 მარტი.
**მშობლები:** თამარ კოპაძე, გოდერძი კოპაძე.
გორის რაიონი, სოფელი აშენდა (ყოფ. არაშენდა)





**სხვა-დასხვა ასაკში**

# ეკა და მაკა ელბაქიძეები

**დაბადების თარიღი:** 1977 წლის 10 სექტემბერი.
**მშობლები:** დარეჯან გოგიბერიძე, მერაბ ელბაქიძე.

**ორი წლის ასაკამდე იკვებებოდნენ მხოლოდ დედის რძით**



# თამარ და გიორგი კოპაძეები

**დაბადების თარიღი:** 2007 წლის 10 იანვარი.
**მშობლები:** შორენა კოპაძე, გელა კოპაძე.

**ორი წლის ასაკამდე იკვებებოდნენ მხოლოდ დედის რძით**





# სარჩევი

წინათქმა ............ 3
გვანცა და სალომე გვიმრაძეები ............ 5
თორნიკე და გიორგი ხუბულურები ............ 6
თემო და ელგუჯა მენაბდიშვილები ............ 8
დავით და ნინო კვარიანთაშვილები ............ 10
როლანდ და ნუგზარ ცერცვაძეები ............ 12
მარიამ და გიორგი ტერუნაშვილები ............ 14
თამარ და ნინო გოგიძეები ............ 15
ელენე და ლიზი ჩიკვილაძეები ............ 16
ციალა და ნელი საათაშვილები ............ 17
ნინო და მარიამ ლავთაძეები ............ 18
ნუცა და კესო ბერიძეები ............ 19
მარიამ და ანა ჟღენტები ............ 20
ნატო და ეთერ დურგლიშვილები ............ 21
საბა და ლუკა ონიკაშვილები ............ 22
თამარ და ქეთევან მაღალაშვილები ............ 23
ზურაბ და რატი თეგერაშვილები ............ 24
დავით და ნიკოლოზ ლომსაძეები ............ 26

სანდრო და ლევან დათიშვილები ........ 28
მარიამ და ქეთევან ჯაჭვაძეები ........ 30
მაია, ნანა და ნონა ღუდუშიძეები ........ 32
გიორგი და ვანო კუთარაშვილები ........ 34
ლუკა და ნიკო კასრაძეები ........ 35
მაკა და ეკა ოქროპირიძეები ........ 36
თენგო და ლილე ტაბიძეები ........ 38
სალომე და ელენე ტერმელაშვილები ........ 40
ელენე და ზურა ბოჭორიძეები ........ 41
გიორგი და ნათია გობეჯიშვილები ........ 42
ხვიჩა და გოჩა ონიაშვილები ........ 43
გიორგი და ივანე ჩიტიშვილები ........ 44
ლილე და ნიკა ბიძინაშვილები ........ 46
ბელა და გელა კოპაძეები ........ 48
ეკა და მაკა ელბაქიძეები ........ 49
თამარ და გიორგი კოპაძეები ........ 50









